დანართი 1

„მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში ჩამოყალიბებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აწარმოე საქართველოში“ საკონსულტაციო ცენტრების მიერ გასაწევი მომსახურებების პირობები

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია დაადგინოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 დეკემბრის N567 დადგენილებით (შემდგომში დადგენილება) დამტკიცებული „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში საჯარო სამართლის იურიდიული პირის - აწარმოე საქართველოში (შემდგომში - სააგენტო) საკონსულტაციო ცენტრების მიერ მეწარმე სუბიექტისათვის გასაწევი მომსახურების სახეები, ამ მომსახურებების გაწევის წესი, მეწარმე სუბიექტის სავალდებულო კრიტერიუმები და პროგრამაში მონაწილეობის ეტაპები, ვადები და პირობები.

პროგრამით განსაზღვრული მომსახურებები მოიცავს სამ მიმართულებას:

- საკონსულტაციო მომსახურება
- ბიზნეს უნარების გაუმჯობესება
- საინფორმაციო მომსახურება

საკონსულტაციო ცენტრების მიერ ამ პროგრამით დადგენილი მომსახურების მიღება, გარდა საინფორმაციო მომსახურებისა, მეწარმე სუბიექტს შეუძლია იმ რეგიონის საკონსულტაციო ცენტრში, სადაც ფაქტობრივად განახორციელებს სამეწარმეო საქმიანობას. იმ შემთხვევაში, თუ მეწარმე სუბიექტის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების რეგიონში არ ფუნქციონირებს რეგიონული საკონსულტაციო ცენტრი, მეწარმე სუბიექტს შეუძლია ამ პროგრამით დადგენილი მომსახურებებით ისარგებლოს ქვეყნის მასშტაბით ფუნქციონირებად ნებისმიერ საკონსულტაციო ცენტრში.

მომსახურების მიმღები მეწარმე/ბიზნეს სუბიექტის სავალდებულო კრიტერიუმები დგინდება მომსახურების მიმართულებების შესაბამისად.

თავი I

საკონსულტაციო მომსახურების მიმართულება

საკონსულტაციო მომსახურების გაწევის მიმართულება მოიცავს კონკრეტული მეწარმე სუბიექტის დიაგნოსტიკას, მისი საჭიროებების დადგენას, შემდგომი განვითარების გზების იდენტიფიცირებას, საკონსულტაციო კომპანიის ჩართულობით მასზე მორგებული მომსახურების მიწოდებას და ამავე მომსახურების თანადაფინანსებას.

მუხლი 1. საკონსულტაციო მომსახურების მოდულები:

1. საკონსულტაციო მომსახურების მიმართულების ფარგლებში მეწარმე სუბიექტი შეძლებს ქვემოთ მოცემულ მოდულებში შესაბამისი მომსახურებების მიღებას:

1.1 გაყიდვები და მარკეტინგი,

1.2 საგადასახადო საკითხები,

1.3. იურიდიული მომსახურება,

1.4. ფინანსები და ბუღალტერია,

1.5. ბიზნეს მოდელირება და სტრატეგიის დაგეგმვა,

1.6. გაციფრულება.

ა) ახალი ციფრული ინსტრუმენტის/გადაწყვეტის შემუშავება და დანერგვა;

ბ) ბაზარზე არსებული ციფრული ინსტრუმენტის/გადაწყვეტის შესყიდვა და დანერგვა;

გ) ამ პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ერთობლივად;

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის 1.1-1.5 პუნქტებითა და 1.6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსების მიზნით ბენეფიციარს, საკონსულტაციო კომპანიასა და სააგენტოს შორის ფორმდება „სამმხრივი ხელშეკრულება საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსებაზე“, რომელიც ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მოხსენიებულია, როგორც თანადაფინანსების ხელშეკრულება, ხოლო ამ ხელშეკრულების ფარგლებში მეწარმე სუბიექტის მხარდასაჭერად სააგენტოს მიერ გაცემული სახსრები - თანადაფინანსებად.

3. ამ მუხლის 1.6 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში, საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსების მიზნით ბენეფიციარს და სააგენტოს შორის ფორმდება ორმხრივი ხელშეკრულება „მიკრო, მცირე და საშუალო საწარმოების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამის საკონსულტაციო მომსახურების გაციფრულების მოდულის ფარგლებში ციფრული ინსტრუმენტის/გადაწყვეტის შესყიდვის/შექმნის და დანერგვის დაფინანსების შესახებ“, რომელიც ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მოხსენიებულია, როგორც საგრანტო ხელშეკრულება, ხოლო ამ ხელშეკრულების ფარგლებში მეწარმე სუბიექტის მხარდასაჭერად სააგენტოს მიერ გაცემული სახსრები - თანადაფინანსებად, რომელიც გაიცემა გრანტის სახით (შემდგომში - გრანტი).

მუხლი 2. საკონსულტაციო მომსახურების მიმართულების ფარგლებში ჩართული მეწარმე სუბიექტის კრიტერიუმები:

1. საკონსულტაციო მომსახურების მიმართულების ფარგლებში ჩართული მეწარმე სუბიექტი გარდა დადგენილების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) მისი ეკონომიკური საქმიანობა არ შეესაბამება საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის - სეკ 006-2016 (NACE-Rev-2) ის შემდეგ საქმიანობის კოდებს:

განყოფილება	**ქვეკლასი**	**ქვეკლასის დასახელება**
01	01.28.0	სანელებლების, არომატული, ნარკოტიკული და ფარმაცევტული კულტურების მოყვანა
01	01.70.0	ნადირობა, ჭერა და მასთან დაკავშირებული მომსახურება
20	20.51.0	ფეთქებადი ნივთიერებების წარმოება
64	64.11.0	ცენტრალური ბანკის საქმიანობა
64	64.19.1	კომერციული ბანკების საქმიანობა
64	64.19.9	მონეტარული შუამავლობის სხვა სახეები
64	64.20.0	ჰოლდინგური კომპანიების საქმიანობები
64	64.30.0	ტრასტები, ფონდები და მსგავსი ფინანსური სუბიექტები
65	65.30.0	საპენსიო ფონდების საქმიანობები
82	82.91.0	გადასახდელების შემგროვებელი სააგენტოების და საკრედიტო ბიუროების საქმიანობები
84	84.11.1	ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების აღმასრულებელი და საკანონმდებლო მართვა
84	84.11.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობის მართვა და ზედამხედველობა
84	84.11.3	ზოგადი ეკონომიკური და სოციალური დაგეგმვის და სტატისტიკის სამსახურების მართვა და ფუნქციონირება
84	84.11.4	სახელმწიფო მმართველობის დამხმარე საქმიანობები
84	84.12.0	ჯანდაცვის, განათლების, კულტურული მომსახურების და სხვა სოციალური მომსახურების საქმიანობების რეგულირება, სოციალური უსაფრთხოების გარდა

84	84.13.0	ბიზნესის ეფექტიანობის ხელშეწყობა და რეგულირება
84	84.21.0	საგარეო საქმიანობა
84	84.22.0	თავდაცვის საქმიანობები
84	84.23.0	იუსტიციის და სასამართლოების საქმიანობები
84	84.24.0	საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმიანობები
84	84.25.0	სახანძრო მომსახურების საქმიანობები
84	84.30.0	სავალდებულო სოციალური უსაფრთხოების საქმიანობები
94	94.11.0	ბიზნესის და დამსაქმებელთა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები
94	94.12.0	პროფესიული საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები
94	94.20.0	პროფესიული კავშირების საქმიანობები
94	94.99.0	სხვა საწევრო ორგანიზაციების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი
99	99.00.0	ექსტერიტორიული ორგანიზაციების და ორგანოების საქმიანობები

ბ) მისი ეკონომიკური საქმიანობა არ მოიცავს:

ბ.ა) რელიგიურ, პოლიტიკურ, საომარი და სხვა მსგავს აქტივობებს;

ბ.ბ) ნებისმიერი პროდუქტის ან აქტივობის წარმოებას ან ვაჭრობას, რომელიც მიჩნეულია არალეგალურად ქვეყნის კანონმდებლობით ან რეგულაციებით ან საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით, ან ექვემდებარება საერთაშორისო აკრძალვებს, როგორებიცაა: -
- ოზონის დამშლელი/გამანადგურებელი ნივთიერებები; -
- პოლიკლორირებული ბიფენილი; -
- გარეული ჯიშის ცხოველები; -
- „გადაშენების პირას მყოფი სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენციით“ (CITES) რეგულირებული სახეობები;

ბ.გ) ზრდასრულთა გასართობი საშუალებების წარმოებას ან/და ვაჭრობას (ე. წ. „Production or trade-in adult entertainment“);

ბ.დ) იარაღისა და საბრძოლო მასალების წარმოებას ან/და ვაჭრობას;

ბ.ე) ალკოჰოლური სასმელების წარმოება ან/და ვაჭრობა (ლუდის, ყურძნის ღვინის, სიდრისა და სხვა ხილის ღვინოების გარდა);

ბ.ვ) თამბაქოს წარმოებას ან/და ვაჭრობას;

ბ.ზ) აზარტული თამაშების, კაზინოებისა და ეკვივალენტური კომპანიების საქმიანობებს;

ბ.თ) რადიოაქტიური მასალების წარმოებას ან/და ვაჭრობა (ეს არ ეხება სამედიცინო აღჭურვილობის, ხარისხის კონტროლის (გაზომვის) აღჭურვილობისა და ნებისმიერი აღჭურვილობის შეძენას, სადაც რადიოაქტიური წყარო უმნიშვნელოა ან/და ადეკვატურად დაცული;

ბ.ი) შეუერთებელი/შეუკვრელი აზბესტის ბოჭკოების წარმოებას ან/და ვაჭრობას (აღნიშნული არ ვრცელდება შეკრული აზბესტის ცემენტის ფურცლის შეძენასა და გამოყენებაზე, სადაც აზბესტის შემცველობა 20%-ზე ნაკლებია);

ბ.კ). საზღვაო გარემოში 2,5 კმ-ზე მეტი სიგრძის ბადის გამოყენებით თევზაობას;

ბ.ლ) წარმოებას ან საქმიანობას, რომელიც მოიცავს იძულებითი შრომის საზიანო ან ექსპლუატაციურ ფორმებს/ბავშვებისათვის საზიანო შრომას;

ბ.მ) მნიშვნელოვანი მოცულობის საშიში ქიმიკატების წარმოებას, ვაჭრობას, შენახვას ან/და ტრანსპორტირებას ან/და მათ გამოყენებას კომერციული მოხმარებისთვის (საშიში ქიმიკატები მოიცავს ბენზინს, ნავთსა და სხვა ნავთობპროდუქტებს);

ბ.ნ) ტყეების გაჩეხვას ტროპიკული ტენიანი ტყის პირველადი სახით გამოყენების მიზნით;

ბ.ო) ხის ან სხვა სატყეო პროდუქტების წარმოებას ან ვაჭრობა, გარდა მდგრადად მართვადი ტყეებისა;

ბ.პ) ტრანსსასაზღვრო ვაჭრობას ნარჩენებით ან ნარჩენი პროდუქტებით, გარდა გადამუშავებისთვის განკუთვნილი არასახიფათო ნარჩენებისა;

ბ.ჟ) მდგრადი ორგანული დამაბინძურებელი ნივთიერებების წარმოებას ან/და ვაჭრობას;

ბ.რ) საქმიანობას, რომელიც მოიცავს ეროვნული პარკის ან მსგავსი დაცული ტერიტორიის მნიშვნელოვან დეგრადაციას;

ბ.ს) საქმიანობას, რომელიც მოიცავს სამსახურში მუშათა/დასაქმებულთა ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დაუცველობას/ შეუსრულებლობას;

ბ.ტ) საქმიანობას, რომელიც მოიცავს უძრავი ქონებით სპეკულაციას;

ბ.უ) საქმიანობას, რომელიც მოცემულია გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართ №1-სა და დანართ №2-ში.

გ) მეწარმე სუბიექტი არის სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრის წევრი და რეგისტრირებულია სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრის ბაზაში;

დ) მეწარმე სუბიექტი რეგისტრირებულია მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში პროგრამის ფარგლებში საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრში დიაგნოსტიკის გავლის მომენტამდე არანაკლებ ერთი კალენდარული წლით ადრე;

ე) მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავალი დიაგნოსტიკის გავლის მომენტისთვის წინა კალენდარული წლის განმავლობაში არის ან აღემატება 30 000 ლარს, რაც დასტურდება

კომპანიის დირექტორის მიერ მიღებული შემოსავლების შესახებ ხელმოწერილი ცნობით, დანართი 2-ის შესაბამისად. აღნიშნულის გადამოწმება ხდება სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 17 ივლისის Nს-67 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

ვ) მეწარმე სუბიექტს, დიაგნოსტიკის გავლის მომენტისათვის საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის N163 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „საკრედიტო საგარანტიო სქემა“ ფარგლებში არ განუცდია დეფოლტი ან/და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის მე-10 მუხლის ან/და უნივერსალური ინდუსტრიული ნაწილის 12[34] მუხლის შესაბამისად არ შეწყვეტია თანადაფინანსება;

ზ) დიაგნოსტიკის გავლის მომენტისათვის არ არის რეგისტრირებული სააგენტოს ვადაგადაცილებულ დებიტორად ან/და სააგენტოს მიერ მის წინააღმდეგ არ არის ინიცირებული სამართლებრივი დავა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ და „ე“ ქვეპუნქტით განსაზღვრული კრიტერიუმის დაკმაყოფილება არ არის სავალდებულო იმ მეწარმე სუბიექტებისთვის, რომლებიც არიან 2014 წლის 30 მაისის N365 დადგენილებით დამტკიცებული „მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამის“ 2022-2023 წლების ბენეფიციარები, ან 2024 წლის 12 ივლისის N229 დადგენილებით დამტკიცებული „მიკრომეწარმეობის მხარდაჭერის“ სახელმწიფო პროგრამის ის ბენეფიციარები, რომელთაც მიზნობრივად დახარჯეს პროგრამის ფარგლებში აღებული სესხი და აღნიშნული დადასტურდა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მონიტორინგის შედეგად.

მუხლი 3. საკონსულტაციო მომსახურების მიმართულებით განსაზღვრული სერვისების მისაღებად კონკრეტული მეწარმე სუბიექტის დიაგნოსტიკისა და ხელშეკრულებ(ებ)ის გაფორმებამდე განსახორციელებელი პროცესის ეტაპები:

1. საკონსულტაციო მომსახურების მიღების მიზნით მეწარმე სუბიექტი რეგისტრირდება სააგენტოს პროგრამულ უზრუნველყოფაში.

2. მეწარმე სუბიექტი, შესაბამის კრიტერიუმებთან თავსებადობის დადგენის შემთხვევაში, ცენტრის თანამშრომელთან[1] ერთად პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით გადის ბიზნეს დიაგნოსტიკას.

3. შევსებულ დიაგნოსტიკის ფორმას 30 კალენდარული დღის ვადაში განიხილავს სააგენტო და:

ა) პირველ მუხლში მოცემული მოდულების მიხედვით ადგენს კონკრეტული მეწარმე სუბიექტის საჭიროებების შესაბამისი მომსახურების/მომსახურებების ჩამონათვალს, ან

ბ) აბრუნებს დიაგნოსტიკის ფორმას ცენტრის თანამშრომელთან კორექტირების მიზნით. ამ შემთხვევაში, სააგენტოს განხილვის 30 კალენდარულ დღიანი ვადის ათვლა იწყება კორექტირებული დიაგნოსტიკის ფორმის სააგენტოს ცენტრალურ ოფისში გამოგზავნის მომენტიდან, ან

[1] საჭიროების შემთხვევაში, ცენტრის თანამშრომლის აღნიშნული როლი შეიძლება შესრულდეს დამატებითი შიდა ან გარე რესურსით.

გ) არ გასცემს რეკომენდაციას საკონსულტაციო მომსახურებით სარგებლობის თაობაზე.

4. თუ სააგენტომ დაადგინა მეწარმე სუბიექტის საჭიროება პირველი მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული მოდულით, მეწარმე სუბიექტს სააგენტოსგან ეგზავნება ინფორმაცია ხსენებული მოდულით სარგებლობის შესაძლებლობის თაობაზე. მიღებული ინფორმაციის შემდეგ, მეწარმე სუბიექტმა უნდა დაადასტუროს თავისი ინტერესი მოდულით სარგებლობის თაობაზე, ან უარი განაცხადოს აღნიშნულ მოდულში სერვისის მიღებაზე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ინტერესის დაფიქსირებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, მეწარმე სუბიექტი სააგენტოს ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტთან ერთად გადის ციფრულ დიაგნოსტიკას, რომლის შედეგადაც დგინდება მეწარმის ციფრული განვითარების დონე და პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“, „ბ ან „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მოდულით სარგებლობის საჭიროება. დადგენილი საჭიროების შესაბამისად, სააგენტოს ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტები, ამავე ვადაში, ამზადებენ და მეწარმესთან აგზავნიან მასზე მორგებულ გაციფრულების გეგმას, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს პროგრამაში მონაწილეობისთვის საჭირო წინაპირობის შესრულების ვალდებულებასაც.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად მეწარმე სუბიექტისთვის მომზადებული და გაგზავნილი გაციფრულების გეგმა, მისი მხრიდან, უნდა დადასტურდეს 10 კალენდარული დღის ვადაში. ამავე ვადაში უნდა შესრულდეს მეწარმე სუბიექტის მხრიდან დადასტურებულ გეგმაში მითითებული პროგრამაში მონაწილეობისთვის საჭირო წინაპირობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში). ამასთან, ამ წინაპირობის შესრულების გარეშე მეწარმე სუბიექტი ვერ გადავა ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე.

7. დიაგნოსტიკის შედეგად, პირველი მუხლის 1-5 პუნქტებით განსაზღვრული მოდულებით სარგებლობის საჭიროების დადგენიდან, ხოლო პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გაციფრულების მოდულის შემთხვევაში, ბენეფიციარის მხრიდან გაციფრულების გეგმის დადასტურებიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში, მეწარმე სუბიექტი ვალდებულია ერთდროულად პროგრამაში ჩართულ არანაკლებ ორ საკონსულტაციო კომპანიასთან აწარმოოს მოლაპარაკება მისთვის სასურველი სერვისის მიღების თაობაზე. ამავე ვადაში, აღნიშნული მინიმუმ 2 შეთავაზება და მისი დასაბუთებული გადაწყვეტილება ერთ-ერთი შემოთავაზების არჩევის თაობაზე, უნდა წარუდგინოს სააგენტოს მის მიერ შემუშავებული ფორმით, შესაბამისი რეგიონული საკონსულტაციო ცენტრის მეილზე.

7.1. ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტის მიერ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული გაციფრულების მოდულის შემთხვევაში, ბენეფიციარის მხრიდან გაციფრულების გეგმის დადასტურებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, მეწარმე სუბიექტი ვალდებულია სააგენტოს წარუდგინოს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით (digital@enterprise.gov.ge) რეკომენდებული ციფრული ინსტრუმენტის ან/და გადაწყვეტის შესყიდვისა და დანერგვის შემოთავაზება ან/და ინვოისი საკონსულტაციო კომპანიიდან/მიმწოდებელი კომპანიიდან (შემდგომში - მიმწოდებელი) სააგენტოს მიერ შემუშავებული ფორმით.

მუხლი 4. საკონსულტაციო მომსახურების მიმართულებით თანადაფინანსებისა და საგრანტო ხელშეკრულებების გაფორმების პროცესი:

1. მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად სააგენტოში წარდგენილი შემოთავაზებების და დასაბუთების სააგენტოს მხრიდან დადასტურებიდან მაქსიმუმ 30 კალენდარული დღის განმავლობაში სააგენტოს, შერჩეულ საკონსულტაციო კომპანიასა და მეწარმე სუბიექტს შორის ფორმდება თანადაფინანსების ხელშეკრულება. თუ სააგენტოს მხრიდან განსაზღვრულია რეკომენდებული საკონსულტაციო სერვისები რამდენიმე მოდულის ფარგლებში, ყოველი მომდევნო თანადაფინანსების ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს არაუგვიანეს პირველი ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში. აღნიშნული ვადების დარღვევის შემთხვევაში, მომსახურების მისაღებად, მეწარმე სუბიექტი ვალდებულია ხელმეორედ გაიაროს ბიზნეს დიაგნოსტიკა საკონსულტაციო ცენტრში.

2. მე-3 მუხლის 7.1. პუნქტის შესაბამისად, ბენეფიციარის მიერ წარდგენილი ციფრული ინსტრუმენტის ან/და გადაწყვეტის შესყიდვისა და დანერგვის შემოთავაზების ან/და ინვოისის სააგენტოს მხრიდან დადასტურებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, სააგენტოსა და მეწარმე სუბიექტს შორის ფორმდება საგრანტო ხელშეკრულება. ამასთან, თუ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ შემთხვევაში, მეწარმე სუბიექტის მიერ მოხდება მხოლოდ პირველი მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული სერვისების შემოთავაზების/ინვოისის წარმოდგენა, მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია მაინც ისარგებლოს აღნიშნული მოდულის (გაციფრულება) დაფინანსებით, მე-3 მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრული ეტაპიდან.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სააგენტოსა და ბენეფიციარს შორის საგრანტო ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში ბენეფიციარი ვალდებულია გააფორმოს ხელშეკრულება ან/და შეთანხმება ციფრული ინსტრუმენტის ან/და გადაწყვეტის მიმწოდებელთან (ზემოხსენებული დადასტურებული ინვოისის დართვით) და ამავე ვადაში ჩაურიცხოს მიმწოდებელს მისი წილი თანამონაწილეობის თანხა.

მუხლი 5. დაფინანსების მოცულობა და ლიმიტები

1. სააგენტოს მიერ საკონსულტაციო მომსახურების მიმართულების ფარგლებში გასაცემი თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა თითოეული მეწარმე სუბიექტის შემთხვევაში, არ უნდა აღემატებოდეს 10,000 ლარს ყველა მოდულში, გარდა გაციფრულებისა. გაციფრულების მიმართულებით მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში, სააგენტოს თანადაფინანსების ან გრანტის მაქსიმალური ოდენობა შეადგენს 25,000 ლარს.

2. საკონსულტაციო მომსახურებების დაფინანსებაში სააგენტოს პროცენტული მონაწილეობის მაჩვენებლები განისაზღვრება შემდეგი წესით:

თუ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად დადგენილია, რომ მეწარმე სუბიექტის მიერ მიღებული შემოსავალი არის:

- 30,000-500,000 ლარამდე - არაუმეტეს სრული ღირებულების 90%-ის ოდენობით;
- 500,000-2,000,000 ლარამდე - არაუმეტეს სრული ღირებულების 70%-ის ოდენობით;
- 2,000,000-10,000,000 ლარამდე - არაუმეტეს სრული ღირებულების 50%-ის ოდენობით;

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული თანადაფინანსების ან გრანტის მაქსიმალური მოცულობის ფარგლებში, სააგენტოს მონაწილეობის პროცენტული მაჩვენებელი შესაძლოა გაიზარდოს ერთჯერადად, 5 პროცენტული პუნქტით, იმ მეწარმე სუბიექტებისთვის რომელთა:

ა) 50%-ზე მეტი წილის მესაკუთრე ქალია ან,

ბ) 50%-ზე მეტი წილის მესაკუთრე არის იძულებით გადაადგილებული პირი, ან

გ) 50%-ზე მეტი წილის მესაკუთრე არის საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტის მიმღები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი.

მუხლი 6. დაფინანსების გაცემის პროცესი

1. მე-5 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული დაფინანსების გაცემის წესი რეგულირდება თანადაფინანსებისა და საგრანტო ხელშეკრულებების შესაბამისად.

მუხლი 7. საკონსულტაციო მომსახურების მიმწოდებელი

1. პირველი მუხლის 1.1-1.5 პუნქტის და 1.6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოდულში, მეწარმე სუბიექტისთვის საკონსულტაციო მომსახურებების მიწოდებას ახორციელებს საკონსულტაციო კომპანია სააგენტოსთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე და ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლება-მოვალეობების ფარგლებში.

2. პირველი მუხლის 1.6 პუნქტის „ბ“ ან „გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრულ მოდულში გათვალისწინებულ მომსახურებას, მეწარმე სუბიექტს აწვდის მის მიერ მოძიებული საკონსულტაციო კომპანია, რომელსაც აქვს შესაძლებლობა მეწარმეს შესთავაზოს ციფრული ტრანსფორმაციის ექსპერტის მიერ შექმნილ გაციფრულების გეგმაში გაწერილი ციფრული ინსტრუმენტი ან/და გადაწყვეტა და რომელიც არის გაციფრულების გეგმაში გაწერილი ციფრული ინსტრუმენტის ან/და გადაწყვეტის ავტორიზებული/ლიცენზირებული მიმწოდებელი საქართველოში, რაც დასტურდება ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაციიდან ნებისმიერით:

ა) ლიცენზია;
ბ) პატენტი ან/და დეპონირებული კომპიუტერული პროგრამა;
გ) ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის ამონაწერი, რომლითაც დასტურდება, რომ კომპანია საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორი – სეკ 006-2016 (NACE-Rev)-ის შესაბამისად ახორციელებს ქვემოთ ჩამოთვლილ ეკონომიკური საქმიანობებიდან სულ მცირე ერთ-ერთს მაინც:

1) 62.01.0 კომპიუტერული დაპროგრამების საქმიანობები
2) 62.02.0 საკონსულტაციო საქმიანობები კომპიუტერული ტექნოლოგიების დარგში
3) 62.03.0 კომპიუტერული საშუალებების მართვის საქმიანობები
4) 62.09.0 საინფორმაციო ტექნოლოგიების და კომპიუტერული მომსახურების სხვა საქმიანობები;
5) 63.11.0 მონაცემთა დამუშავება, განთავსება და მათთან დაკავშირებული საქმიანობები.

ამასთან, ეკონომიკურ საქმიანობათა რეესტრის ამონაწერი სააგენტოში დოკუმენტაციის წარმოდგენის მომენტისთვის უნდა იყოს მოქმედი და მოქმედების ვადის გასვლამდე არ უნდა იყოს დარჩენილი 6 თვეზე ნაკლები.
დ) სააგენტოსთან შეთანხმებული სხვა სახის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მუხლი 8: დაფინანსების წყარო

1. ამ თავის პირველი მუხლის 1.1-1.5 პუნქტების და 1.6. პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, თანადაფინანსების გაცემა ხორციელდება საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (მსოფლიო ბანკი) შორის 2021 წლის 17 მაისს N9239-GE ხელშეკრულების საფუძველზე გამოყოფილი სახსრებიდან.

2. ამ თავის პირველი მუხლის 1.6 პუნქტის ,,ბ" ან „გ" ქვეპუნქტებით განსაზღვრული სერვისებით სარგებლობის შემთხვევებში, თანადაფინანსების სახით, გრანტის გაცემა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

3. ამ თავის პირველი მუხლის 1.6 პუნქტის „ბ" ან „გ" ქვეპუნქტით განსაზღვრული მოდულის ფარგლებში თანადაფინანსების სახით გაცემული გრანტით დაფინანსდება გაციფრულების გეგმით გაწერილი მხოლოდ იმ ციფრული ინსტრუმენტის ან/და გადაწყვეტის შემუშავება, შესყიდვა და დანერგვა, რომელიც შეესაბამება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (2024 წლის 15 ნოემბრის Nს-121 ბრძანება) დადგენილ დასაშვები ხარჯების ჩამონათვალს.

თავი II

ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულება

ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულება მოიცავს მეწარმე სუბიექტის საჭიროებებზე მორგებული მოკლევადიანი/გრძელვადიანი სამუშაო შეხვედრებისა და ლექციების/ტრენინგების მიწოდებას, მათ შორის და არა მხოლოდ, ბიზნეს შეხვედრების ორგანიზებას როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

მუხლი 9. ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულება მოიცავს შემდეგ მოდულებს:

1. გაყიდვები და მარკეტინგი,

2. საგადასახადო საკითხები,

3. იურიდიული მომსახურება,

4. ფინანსები და ბუღალტერია,

5. ბიზნეს მოდელირება და სტრატეგიის დაგეგმვა,

6. გაციფრულება.

მუხლი 10. მომსახურების მიწოდების მეთოდები

ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდება განხორციელდება შემდეგი მეთოდებით:[2]

1. ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულებით განსაზღვრული მომსახურების მიწოდების შემდეგი მეთოდები:

ა) ტრენინგები - შერჩეული თემის ირგვლივ კომპლექსური სწავლება, რომელიც მოიცავს 1-3 დღემდე სწავლების პერიოდს;

ბ) სამუშაო შეხვედრები (ე.წ. workshop) - ერთჯერადი ჯგუფური აქტივობა, რომელიც მოიცავს 2-6 საათამდე ინტენსიურ აქტივობას და პრაქტიკულ კომპონენტს;

გ) სასწავლო პროგრამები - უმაღლეს და პროფესიულ სასწავლებლებთან ან საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით შემუშავებული სასწავლო პროგრამა, რომელიც მორგებული იქნება რეგიონის ბიზნეს საჭიროებაზე;

2. დამატებით, პარტნიორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში, რეგიონულ საკონსულტაციო ცენტრებში შესაძლოა დაიგეგმოს და განხორციელდეს კონკრეტული ღონისძიებები მეწარმეთა ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულებით სხვადასხვა სფეროში. ასეთ ღონისძიებებზე მონაწილეთა კრიტერიუმები, მათი შერჩევის წესი და

[2] დამატებით შესაძლოა განისაზღვროს ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულებით განსაზღვრული მომსახურებების მიწოდების სხვა მეთოდი.

მონაწილეობის მიღების პროცესი მტკიცდება სააგენტოს დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 11. მეწარმე სუბიექტის კრიტერიუმები

1. ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულებით განსაზღვრული მომსახურებით სარგებლობისთვის მეწარმე სუბიექტი, გარდა დადგენილების მე-4 მუხლის 1-ლი პუნქტით განსაზღვრულისა, უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

ა) მისი ეკონომიკური საქმიანობა აკმაყოფილებს ამავე ბრძანების პირველი თავის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნებს და

ბ) გავლილი აქვს რეგისტრაცია საკონსულტაციო ცენტრების ოფიციალურ ვებ გვერდზე და კონკრეტულ ღონისძიებაზე მონაწილეობის მიღების მიზნით, შევსებული აქვს შესაბამისი სარეგისტრაციო ფორმა, გარდა ამავე თავის მე-10 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად გაწერილი ღონისძიებებისა.

2. კონკრეტულ ღონისძიებაზე მონაწილეობის პირობები და, კონკრეტულ შემთხვევებში, დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება სააგენტოს მიერ და ქვეყნდება საკონსულტაციო ცენტრების ოფიციალურ ვებ გვერდზე.

მუხლი 12. ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულებით განსაზღვრული მომსახურების მიღების ეტაპები

1. ამ თავის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გაწერილი მეთოდით დაგეგმილი ღონისძიების შემთხვევაში:

ა) ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულებით, ამ თავის მე-9 მუხლით დადგენილი მოდულების შესაბამისად, სააგენტო აცხადებს ტრენინგს ან სამუშაო შეხვედრას, რომლის შესახებ ინფორმაციაც ქვეყნდება სააგენტოს საკონსულტაციო ცენტრების ვებ-გვერდზე სააგენტოს მიერ განსაზღვრულ კონკრეტულ ღონისძიებაზე მონაწილეობის პირობებთან და დამატებით კრიტერიუმებთან ერთად (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) მეწარმე სუბიექტი, რომელსაც გავლილი აქვს ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ბიზნეს დიაგნოსტიკა და გამოვლენილი საჭიროება შეესაბამება ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ტრენინგის/სამუშაო შეხვედრის მოდულს, უფლებამოსილია, გამარტივებული რეგისტრაციის გავლის შემდეგ, დამატებით კრიტერიუმების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკმაყოფილების შემთხვევაში, დაესწროს გამოქვეყნებულ ღონისძიებას.

გ) მეწარმე სუბიექტი, რომელსაც არ აქვს გავლილი ამ ბრძანების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ბიზნეს დიაგნოსტიკა, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძლებს ტრენინგზე/სამუშაო შეხვედრაზე დასწრებას, თუკი ამ მუხლის „ბ“ პუნქტის შესაბამისად შერჩეული მეწარმე სუბიექტებით ჯგუფის დაკომპლექტების შემდეგ, კვლავ დარჩება თავისუფალი ადგილი კონკრეტულ ღონისძიებაზე, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გაივლის რეგისტრაციას, დააკმაყოფილებს ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად კონკრეტულ ღონისძიებაზე მონაწილეობის მიღების მიზნით სააგენტოს მიერ საკონსულტაციო ცენტრების

ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ დამატებით კრიტერიუმებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და შეირჩევა სააგენტოს დირექტორის 2024 წლის 19 მარტის N‹-19 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 13. მომსახურების მიმწოდებელი კომპანია

1. ამ თავით გათვალიწინებული მიმართულების ფარგლებში მეწარმე სუბიექტისთვის მომსახურებების მიწოდებას ახორციელებს საკონსულტაციო კომპანია სააგენტოსთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე და ამ ხელშეკრულებით დადგენილი უფლება-მოვალეობების ფარგლებში.
2. ამ თავის მე-10 მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად დაგეგმილ ღონისძიებაზე, მომსახურების მიწოდება შესაძლოა განახორციელოს კონკრეტული ღონისძიების მიზნისთვის პარტნიორი ორგანიზაციის მიერ დაკონტრაქტებულმა პირმა.

მუხლი 14. თანადაფინანსების მოცულობა და ლიმიტები

1. მეწარმე სუბიექტთათვის ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიმართულებით დაგეგმილ ღონისძიებებში მონაწილეობა არის უფასო.

2. ამ თავის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად დაგეგმილ ღონისძიებაზე დასწრების ფასი, თანადაფინანსების მოცულობა და ლიმიტები დგინდება თითოეულ დაგეგმილ ღონისძიებასთან მიმართებით, კონკრეტულ პარტნიორ ორგანიზაციასთან შეთანხმების საფუძველზე.

თავი III

საინფორმაციო მომსახურების მიმართულება

საინფორმაციო მომსახურების გაწევა მოიცავს, ერთი მხრივ, ურთიერთობის და თანამშრომლობის დამყარებას, როგორც ადგილობრივ მუნიციპალურ ორგანოებთან, ასევე სხვადასხვა ბიზნესის მხარდამჭერ უწყებებთან, დონორ ორგანიზაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ხოლო მეორე მხრივ, მეწარმე სუბიექტისათვის სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას, მათ შორის და არა მხოლოდ, ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამების, ბიზნეს სფეროს სიახლეებისა თუ სექტორული კვლევების თაობაზე. ამ თავით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობა შეუძლია დადგენილების პირველი მუხლის „ე“ პუნქტით განსაზღვრულ მეწარმე სუბიექტებს.

მუხლი 15. საინფორმაციო მომსახურების მიმართულების ფარგლებში მეწარმე სუბიექტისთვის მისაწოდებელი მომსახურებები:

1. საკონსულტაციო ცენტრის ოფისებში რეგიონის თანამშრომლის მიერ საინფორმაციო მომსახურების მიწოდება;

2. კონკრეტული მეწარმე სუბიექტის საჭიროებებსა და ინტერესებზე მორგებული ინდივიდუალური კონსულტაცია;

3. ბიზნეს სექტორში არსებულ სიახლეებსა და პროექტებზე ინფორმაციის მიწოდება საკონსულტაციო ცენტრების ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით.

4. საკონსულტაციო ცენტრის ოფისის სამუშაო სივრცის, კომპიუტერული მოწყობილობებისა და ინტერნეტის გამოყენება.